ქართულ - ევროპული ურთიერთობები - წინაპირობები და პერსპექტივები

ტატიანა გვილავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

2022 წელს დაწყებულმა რუსულმა სამხედრო აგრესიამ მსოფლიო დღის წესრიგი ნამდვილად შეცვალა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა ბევრ ასპექტზე იმოქმედა. ხშირად რეგიონში არსებული კრიზისები გარკვეული შესაძლებლობების ფანჯარას ხსნის ამა თუ იმ სახელმწიფოებისთვის. სწორედ ასე მოხდა უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს აღნიშნული სამი ქვეყანა თანაბარ პირობებში უნდა ყოფილიყო, საქართველოსთვის სხვა გარემოებები შეიქნა. ორმა სახელმწიფომ მიიღო კანდიდატის სტატუსი. შესაბამისად მათ ისარგებლეს გარემო პირობებით. საქართველოს შემთხვევაში კი არ გამოდგა საკმარისი ის, რაც სხვა ქვეყნებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქვეყნისთვის დიდი გამოწვევა იყო, მათ უნდა დაემსახურებინათ ის, რაც სხვამ გარემო პირობების გამო მიიღო. ზუსტად ეს არის ამ პროცესების ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწილი. ისეთი პატარა, მაგრამ ძლიერი საწყისების მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა ეს გამოწვევა ევროკავშირის 12 რეკომენდაციასთან ერთად მიიღო. რამდენიმე თვიანი მარათონის შემდეგ ევროკომისიის გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს, რასაც მომავალში ევროკავშირის წევრმა ყველა სახელმწიფომ დასტური უნდა მისცეს საქართველოს, რათა მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ამ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მთელი რიგი რეკომენდაციების ფონზე არის ერთ-ერთი მოწყვლად ჯგუფებზე, მათ შორის გენდერულზე. საქართველომ ამ საკითხში საკმაოდ კარგად გაართვა თავი ამოცანას და საბოლოო ჯამში ქალებმა დიდი როლი შეასრულეს როგორც ევროპის მხრიდან, ასევე საქართველოს მხრიდან იმ დიდ საქმეში, რასაც საქართველოს გზა ჰქვია ევროინტეგრაციაში. მართლაც, ეს საკითხი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. ბოლოს და ბოლოს ქვეყნის უმრავლესობა ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ითხოვს. და ეს ყველაფერი ქვეყნის უმაღლეს კანონში, კონსტიტუციაშიცაა ჩაწერილი.

საკვანძო სიტყვები: რეკომენდაცია, პოლარიზაცია, სტატუსი, გენდერული კვოტირება, მოწყვლადი.

GEORGIAN-EUROPEAN RELATIONS - PREREQUISITES AND PERSPECTIVES

Tatiana Gvilava
PhD student of GTU

RESUME

Russian invasion in Ukraine had great impact on the world and European politics. after this large scale invasion Europeans especially eastern Europeans had lots of challenges and also some important opportunities to develop their European development. I have already mentioned Russian invasion which make force majeure condition. European Union always have their verbal supports toward this countries including Ukraine, Moldova and Georgia. But in this condition they decide to transfer their oral support into something important. Such important step was candidate status for this three country. As we have already known Ukrainians are in war and Moldova has the problem of Dniester republic. In the case of this two countries their conditions were enough to gave candidate status. But Georgians did not give this so called privilege. Georgia is the only country in this list who gave recommendations on the European road. This 12 recommendations became one of the biggest challenge and opportunity for the country, to make sure Europeans that Georgia do not need condition for the candidate status an they can prove that they are worthy for status according their achievements toward democratic development in many aspects, for example: polarization issue, judicial, media independent, or gender issue. Georgia face this challenge and it was successfully for our country.

Key words: recommendation, polarization, status, gender quota, vulnerable.

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაცია შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე და წამოიწყო თანამედროვე ევროპის ისტორიაში უპრეცენდენტოდ მასშტაბური სამხედრო კონფლიქტი. რა თქმა უნდა, ასეთი მასშტაბური დაპირისპირება უკვალოდ არ ჩაივლიდა და პროცესშივე აღნიშნული კონფლიქტი იქცა მთელს მსოფლიოსა და ევროპაში დღის წესრიგის შემქმნელი.

ევროპული საზოგადოება იძულებული გახდა ის ვერბალური მხარდაჭერა, რასაც არასდროს იშუ-

რებდა უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს მიმართ საქმეშიც გადაეზარდა. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა აიძულა ევროპული სტრუქტურები უფრო ქმედით ნაბიჯებზე გადასულიყვნენ და ამ სამი ქვეყნისთვის მათ მეტი გაეკეთებინათ, ვიდრე უბრალოდ სიტყვიერი მხარდაჭერა იყო.

ევროპამაც არ დააყოვნა და რუსული აგრესიისგან თავდასაცავად უკრაინას და შესაბამისად მოლდოვასა და საქართველოს ისტორიული ნახტომის გაკეთების საშუალება მისცა. მაინც როგორ გადაითარგმნა ევროპული მხარდაჭერა აღნიშნული ქვეყნებისთვის? მათ გადაწყვიტეს ევროპის კარი გაეღოთ ამ სამი ქვეყნისთვის.

საბოლოო ჯამში, საქართველოსთვის ეს ყველაფერი ცოტათი განსხვავებულად გამოვიდა. რაც ყველაზე მთავარია ქვეყანამ ღირსეულად გაიარა მოცემული გზის მნიშვნელოვანი ნაწილი.

გზა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე - კეთილი ნებიდან ევროპული კომისიის რეკომენდაციამდე

როგორც უკვე აღვნიშნე, უკრაინაში მიმდინარე ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის ცხოვრება და პოლიტიკა, ისინი იძულებული გახდნენ თავიანთი გაფართოების პოლიტიკა უფრო ფორსირებული გამხდარიყო. ხსენებული ფორს მაჟორიდან გამომდინარე ევროკავშირმა გადაწყვიტა ომში მყოფი უკრაინისათვის დაჩქარებული წესით მიეცათ კანდიდატის სტატუსი. ეს ყველაფერი პირველ რიგში, მორალური მხარდაჭერისთვის გაკეთდა. ეს სამხედრო აგრესიისგან გამოწვეული ეგრეთ წოდებული ბენეფისი შეეხო მოლდოვასაც. მოგეხსენებათ, მოლდოვას ,ისევე როგორც პოსტ საბჭოთა სივრცის სახელმწიფოს, რუსეთთან ტერიტორიული პრობლემები გააჩნია დნესნისპირეთის სახით. ზუსტად ამ გარემოებამ აიძულა ევროპა, რომ დაჩქარებული წესით, ასე ვთქვათ, ეჩუქებინა კანდიდატის სტატუსი. ალბათ, აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ევროპა თვლიდა, რომ ასე შეაჩერებდა შესაძლო რუსულ აგრესიას მოლდოვას მიმართულებით. ზუსტად აქ დაისვა ძალიან მნიშვნელოვანი კითხვები - ნუთუ საქართველომ ვინმეზე ნაკლებად გადაიტანა რუსული აგრესია მთელი ეს პერიოდი? არ დაგვავიწყდეს თუ კი უკრაინას 2014 წელს ყირიმი წაართვეს და მოლდოვას დნესნისპირეთი აქვს ოკუპირებული, საქართველოს 20% ოკუპირებულია დიდი ხანი, ჯერ კიდევ 1990 -იან წლებში საქართველო მარტო დარჩა რუსული აგრესიის წინააღმდეგ და სეპარატისტულ ტალღაზე დაკარგა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. შემდგომში უახლესი ისტორიიდანაც არსებობს ფაქტები რუსული აგრესიის 2008 წლის აგვისტოს ომი, რომლის შემდეგაც ოკუპაცია გაიზარდა და მეტიც, დღემდე მცოცავ ოკუპაციაშია გადაზრდილი რუსული აგრესია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ის, რაც ევროპისთვის საკმარისი აღმოჩნდა უკრაინასა და მოლდოვას, რათა მიეღოთ კანდიდატის სტატუსი, არ აღმოჩნა საკმარისი საქართველოსთან მიმართებაში. ვთვლი, რომ ზუსტად ეს მომენტი საქართველო - ევროპის ურთიერთობის ისტორიაში არის უმნიშვნელოვანესი, ასე ვთქვათ, შემობრუნების პროცესი დაიწყო. საქართველომ ევროპისგან მიიღო 12 რეკომენდაცია იმისათვის, რომ მიეღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესებში არის ის, რომ ხშირად უსვამდნენ ხაზს ევროპელი მაღალჩინოსნები, რომ უკრაინა და მოლდოვა არ იმსახურებდნენ კანდიდატის სტატუსს. შესაბამისად ვთვლი, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო 12 რეკომენდაციის შესრულებით, რომელსაც კანდიდატის სტატუსამდე უნდა მივეყვანეთ. ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი პროცესია, რადგან დიდი ხნის შემდეგ საქართველო არ იღებს რაიმე სახის ბენეფისს იმის გამო კი არა, რომ დაჩაგრულია ან რამე მსგავსი. ქვეყნის პოზიციონირება საკმაოდ მძლავრია იმისთვის, რომ ის, რასაც სხვას მოწყალებად აძლევენ საქართველომ უნდა დაიმსახუროს.

ქართულმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ, რომელიც განსხვავებული წარმოდგენებისა და აზრების მიუხედავად ერთი ორგანიზმია ეს გამოწვევა თვით განვითარების საუკეთესო გზად დაინახა და შეუდგა იმის დამტკიცებას, რომ მიუხედავად ახალი დემოკრატიისა, საკმაოდ ძლიერი გამოწვევების მისაღებად მზადაა. ეს ყველაფერი ქვეყნისთვის, ხალხისთვის მართლაც გამოწვევა იყო, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველო ევროპული ცივილიზაციაა და საქართველოს მთავარ კანონში, კონსტიტუციაში წერია ხალხის ნება, რომ ქვეყანა აუცილებლად უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი, გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი და ფასეული წევრი, იმ კულტურის, ისტორიისა და დამსახურების გამო, რაც ჩვენ გვაქვს ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში. 12 რეკომენდაცია ითვალისწინებდა ქვეყნის საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და სასამართლო რეფორმების ჩატარებას, რაც მისცემდა ქვეყანას საშუალებას ევროინტეგრაციის გზაზე დაწინაურებულიყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყნისთვის ეს გზა მარტივი არ იყო, რადგან უამრავი პრობლემა არსებობდა, მათ შორის სკეპტიკური დამოკიდებულება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ასპარეზზე. საბედნიეროდ ,ქვეყანამ მოახერხა გამოწვევის მიღება და ღირსეულად გაართვა თავი. ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება. სამწუხაროდ ,პოლარიზაცია დღემდე გამოწვევად რჩება, მაგრამ არსებობს მთელი რიგი პუნქტები, რაც ადასტურებს

ქვეყნის პროგრესს. ქვეყანამ წარმატებით გაითვალისწინა ვენეციის კომისიისა და ეუთო ოდირის დასკვნები, მოხერხდა შედარებითი პროგრესი სახელმწიფო სტრუქტურების განვითარებაში. აღსანიშნავია მოწყვლად ჯგუფებზე მიღებული რეკომენდაციები, რომ მათი დაცვაა აუცილებელი. ამ კუთხითაც პროგრესი აშკარაა, მაგალითად, გენდერული კუთხით. ჯერ კიდევ 12 რეკომენდაციამდე მოახერხა ქვეყანამ და კანონის დონეზე აიყვანა ქალთა კვოტირებით წარმომადგენლობა პარლამენტში, რაც ცალკე განხილვის თემაა ზოგადად ,მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფოს ჩართულობა ,თუნდაც ამ კუთხით საკმაოდ მაღალია.

2023 წლის 8 ნოემბერი უმნიშვნელოვანესი თარიღი გახდა საქართველოს ისტორიაში. ეს გახლავთ დღე, როდესაც ევროკომისიას უნდა განეხილა თუ როგორ შეასრულა საქართველომ რეკომენდაციები. საბოლოო ჯამში ევროკომისიამ, მისმა პრეზიდენტმა ურსულა ფონ დე ლაიენმა გასცა რეკომენდაცია, რომ ამავე წლის 15 დეკემბერს საქართველოს ევროკავშირის ყველა წევრმა სახელმწიფოს მიანიჭოს სტატუსი დამსახურებულად. ალბათ შემთხვევითი არ არის ეს სიტყვა დამსახურებულად, რადგან ქვეყანამ მართლაც ყველანაირი დათმობების გარეშე მიიღო ეს რეკომენდაცია და იმედია 15 დეკემბერს ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის გამარჯვება კანდიდატის სტატუსით დაგვირგვინდება ევროპულ გზაზე.

გენდერული პროგრესი ევროპულ გზაზე, როგორც საყოველთაო, ასევე რეკომენდირებული

როგორც უკვე აღვნიშნე, 12 რეკომენდაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მოწყვლადი ჯგუფების პოზიციების გამაგრება. მოდით, ამჟამად ვისაუბრებ გენდერულ საკითხზე. როგორც უკვე ვთქვი, საქართველომ რეკომენდაციებამდე მოახერხა აღნიშნულ საკითხში პროგრესის მიღწევა, როდესაც მიიღო კვოტირების კანონი ქალთა პარლამენტში წარმომადგენლობის შესახებ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე არის მაკა ბოჭორიშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნულ პროცესებში. კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროკომისიის პრეზიდენტიც ქალია ,ურსულა ფონ დერ ლაიენი, რომელიც ევროკავშირისა და მსოფლიო მასშტაბებით უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში იღებს მონაწილეობას. ქართული პროგრესიც ამ კუთხით თვალსაჩინოა და მაკა ბოჭორიშვილის მაგალითიც საკმაოდ კარგად მეტყველებს ქართულ პროგრესზე ამ მიმართულებითაც. საბოლოო ჯამში ყველა ტიპის პროგრესი მისასალმებელია და რაც მთავარია, არის მიმავალი გზა ევროპულ ოჯახამდე, იქამდე, რისი წევრი ისედაც ვართ როგორც კულტურით, ასევე ისტორიითა და მსოფლმხედველობით.

დასკვნა

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ საბოლოო ჯამში ის უარყოფითი ემოცია, რაც კანდიდატის სტატუსის თავიდან არ მოცემას მოჰყვა საბოლოოდ გადაიზარდა ბევრად მნიშვნელოვან და საამაყო პროცესში, რასაც დამსახურებით მიღებული ეწოდება. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ქვეყანა წარმატებას გარემო პირობებისა და მოწყვლადობის გამო კი არ იღებს, არამედ როდესაც იმსახურებს. სწორედ ამ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კონსესუსის დამსახურებაა ახალი 9 რეკომენდაცია, რომელიც უკვე გზას გაგვიხსნის არა მხოლოდ კანდიდატის სტატუსამდე, არამედ ევროკავშირის კანდიდატობამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვინდაძე. ს. (2022, ივნისი, 17). ევროკომისიის 12 მოთხოვნა მოკლედ- რა უნდა გააკეთოს საქართველომ, EU-ს კანდიდატის სტატუსის მისაღებად. აღებულია,https://www.radiotavisupleba.ge/a/31902732.html

2. (2023, ნოემბერი, 8). რას მოიცავს 9 დათქმა - ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. აღებულია, https://www.radiotavisupleba.ge/

3. (2023, ნოემბერი, 13). Georeia's progress towards EU candidate status: the European commission's assessment. Retrieved from: https://civil.ge/archives/568874

4. (2023, ნოემბერი, 8). EU Commission to recommend Georgia's candidacy with 9 conditions. აღებულია:
https://frontnews.ge/en/news/details/49003